საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N767 2024 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

„ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ

„ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის №21 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას

გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით, ხუთი წლის ვადით, 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ვორონოვის თეთრყვავილას ბოლქვის (Galanthus woronovii) მოპოვებისათვის (მოპოვების ყოველწლიური კვოტა – 5 000 000 (ხუთი მილიონი) ბოლქვი – არაუმეტეს 25 000 (ოცდახუთი ათასი) კგ-ისა) აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვროს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**